MES 1 23 0000345018

27/03/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2023 წლის 14 მარტს 14:00 საათზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მოისწრაფიშვილი
- ნანა შარაბიძე
- ნანა შათირიშვილი
- გივი დოლიძე
- ქეთევან ღვანიძე
- ვერიკო ჭიღლაძე
- ირმა ქორთუა
- თამთა კვინიკაძე
- ქეთევან ჯანელიძე
- ნინო ბეგლარაშვილი
- ნინო ჩომახაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ-კოლეჯი „იბერია"
ირაკლი ავალიანი - დირექტორი;
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე;
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის სპეციალისტი;
ლელა ჩხაბერიძე - იურისტი;
ნონა კაჭარავა - ადამიანური რესურსების მენეჯერი;
მურმან კობახიძე - ფინანსური მენეჯერი;
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების კოორდინატორი;

შპს ორიენტირი
რამაზ მაჭარაშვილი - დირექტორი;
ნონა ფანჯიკიძე - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი;
ივანე ბალახაშვილი - იურისტი;

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა"
ირმა მეგრელიძე - კოლეჯის დირექტორი;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ოკრიბელაშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურეობა“ ხელმძღვანელი;
მანანა შალამბერიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ხელმძღვანელი;

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი "იბერიის" საგანმანათლებლო პროგრამების - "შედუღება", "კულინარიის ხელოვნება" - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ ქალაქ ბაღდათში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ორიენტირისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სკოლამდელი აღზრდა და განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ,,სარესტორნო მომსახურების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ღონისძიებების ორგანიზების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: სსიპ - კოლეჯი "იბერიის" საგანმანათლებლო პროგრამების - "შედუღება", "კულინარიის ხელოვნება" - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ კოლეჯში ,,იბერია“ (ქ. ქუთაისში) პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „შედუღება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99 ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების „31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ)ბ და ბ)დ ქვეკომპონენტების, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტის ბ)ბ კომპონენტისა და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ასევე, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. ვიზიტი წარიმართა სსიპ კოლეჯ ,,იბერიაში“ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების ინდიკატორები მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებაში და მეორე სატანდარტის ინდიკატორების მოთხოვნათა შესრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ,,კულინარიის ხელოვნება (2.2) და ,,შედუღება“ (2.2. და 2.4.). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით. განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სამსახურების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, დათვალიერებული იქნა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ზემოაღნიშნული პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. გადამოწმებული იქნა სასწავლო პროცესის, ადმინისტრირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და დოკუმენტაცია როგორც ფიზიკური, ასევე ელექტრონული ფორმით.ვიზიტი წარიმართა მშვიდ და საქმიან გარემოში.
ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: 4.2.1.1. სასურველია პერსონალის შეფასების კითხვარში ინდიკატორები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და სამუშაოს ფუნქცია-მოვალეობების და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დავალებების შესაბამისი;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანა.

რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, ვითარება ასეთია:
4.2.1.5 - სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა - დაწესებულების მიერ ჯერ არ არის შესრულებული, თუმცა იგეგმება მისი შესრულება.
5.2.3.3 - სასურველია, დაწესებულებამ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში ასახოს ინფორმაციის გაცემის პროცედურა - დაწესებულების მიერ ჯერ არ არის შესრულებული, თუმცა იგეგმება მისი შესრულება;
5.2.3.6 - სასურველია, დაწესებულებამ უზრურნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექნიზმების შემუშავება დაწესებულების მიერ ჯერ არ არის შესრულებული, თუმცა იგეგმება მისი შესრულება;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 4.1.4.2 ინდიკატორი, ისევე როგორც 5.1 და 5.2 კომპონენტები წინა ვიზიტის დროს შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ყველა ინდიკატორი, მათ შორის მე-4 და მე-5 სტანდარტი სრულ შესაბამისობასია ავტორიზაციის დადგენილ სტანდარტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა კითხვით ექსპერტს როგორ ხდებოდა პერსონალის შეფასება, რა მეთოდოლოგიას გამოიყენებენ შეფასებისას.

ექსპერტის განმარტებით,რეალურად 5 ინდიკატორი აქვს შემუშავებული დაწესებულებას, ჰყავს კომისია, რომლის უშუალო ხელმძღვანელები არიან ჩართულები და განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალისთვის და პედაგოგებისთვის ვინ უნდა იყოს ჩართული რომ ინტერესთა კონფლიქტიც არ იყოს და უშუალო ზედამხედველები იყვნენ. ფორმალიზებულად ხორციელდება შეფასება თანამშრომლების. ამ ეტაპზე დაწესებულებამ განახორციელა ადმინისტრაციული თანამშრომლების შეფასება და ვიზიტის დროს იგეგმებოდა პროფესიული განათლების პედაგოგების შეფასებაც.

ექსპერტის განცხადებით, 42 ტექნიკური პერსონალი და 2 შტატგარეშე ადმინისტრაციული პერსონალი ჰყავთ შეფასებული. შეფასება განახორციელეს თვითშეფასების კითხვარის მიხედვით. კრიტერიუმები და ქულები იყო ჩაშლილი. კომისიურად მოწმდებოდა კითხვარის შედეგები. 5 წევრი მონაწილეობდა კომისიაში. კოლეჯის შედეგები იყო დადებული, სადაც საქმიანობის შეფასება 80%-ზე მაღალი ქულით იქნა შეფასებული.
შორენა ჯაფარიძემ მიმართ კითხვით ექსპერტს, დაიდო თუ არა რაიმე სახის რეკომენდაციები პერსონალის შეფასების შედეგად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საწყისი ეტაპისთვის კოლეჯმა ეფექტური შრომა გაწა, გუნდურად შეიმუშავეს შეფასების ინდიკატორები, შეფასების ფორმა, აღწერითი დოკუმენტი. ბუნებრივია, როცა პერსონალის შეფასების პროცესი საწყის ეტაპს გადის და პირველი ფორმალიზებული პროცესია, იყო გარკვეული სირთულეები, თუნდაც პერსონალის მიერ თვითშეფასების კითხვარების შევსების მიმართულებით, თუმცა, რეკომენდაციები მაინც გაიცა.

საბჭოს თავჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა თავიანთი პოზიცია დაეფიქსირებინათ.

ნანა შათირიშვილის განცხადებით, მონიტორინგის ჩანიშვნის ძირითადი მიზემი გახლდათ დანადგარების დამონტაჟება და განმახორციელებლების გადამზადება, ორივე შემთხვევაში საკითხი გახლდათ გამოსწორებული. რამოდენიმე დანადგარი, რომელიც პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში იყო მითითებული, პირველი ვიზიტისას, ჯერ არ იყო

დამონტაჟებული და არ ფუნქციონირებდა, მაგ: სალამანდრა, ცომის საბრტყელებელი, კრეპის აპარატი. ასევე, არასრული იყო ვენტილაციის სისტემა, ადრე დამონტაჟებული გამწოვი დანადგარის სიმძლავრე არასაკმარისი იყო და თან არ იყო სწორად დამონტაჟებული, მოცემული ეტაპისათვის ყველაფერი გამოსწორებულია, ასევე, ვენტილაცია ხდება ფანჯრების გაღება / დაკეტვით.

გივი დოლიძის განცხადებით,წინა ვიზიტის დროს, მიზეზი რის გამოც დაინიშნა მონიტორინგი, იყო ის , რომ არ იყო განლაგებული მატერიალური რესურსი C გარემოში , დასაწყობებული იყო გვერდით მდებარე შენობაში. ახლანდელი ვიზიტის დროს გადამოწმდა სრულად და ყველაფერი თავის ადგილზეა განლაგებული. რაც შეეხება ადამიანურ და სასწავლო რესურსებს, ისინი სრულიად აკმაყოფილებდნენ დადგენილ მოთხოვნებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის „შედუღება“ შინაარსს იცნობდა, ხომ არ დაუფიქსირებიათ ხარვეზები ჩარჩო დოკუმენტში პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით,აღნიშნული პროგრამის განხორციელებას დიდი ენთუზიაზმით მოკიდეს ხელი, იმიტომ, რომ პროფესია მოთხოვნადია და დასაქმებადია, მაგრამ ჩარჩო დოკუმენტისა და ასევე, მოდულებიდან გამომდინარე, განმახორციელებლებს აქვთ ძალიან ბევრი შენიშნვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად ჩართული იყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ მიმდინარე სამუშაო შეხვედრაში. კოლეჯის მასწავლებლებმა წერილობით მოამზადეს თავიანთი შენიშნვნები და რეკომენდაციები.

ნინო ელბაქიძემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, ობიექტური იყო თუ არა პროფესიული მასწავლებლებლების და პერსონალის მიერ გააკეთებული თვითშეფასება და თუ არსებობდა შეფასების მექანიზმები. ასევე თვითშეფასების საფუძველზე კოლეჯს თუ აქვს დადგენილი რაიმე სახის ღონისძიება მასწავლელებისათვის.
ექსპერტის განცხადებით, ძირითადი განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების კუთხით იყო ის, რომ ყოფილიყო „SMART“ ინდიკატორები, როდესაც არ არის გაზომვადი ინდიკატორი, ძალიან ძნელია ილაპარაკო, რას ეფუძნება რეალურად შეფასება. ამ ეტაპზე ინდიკატორები ძალიან ზოგადია, ამიტომ მასწავლებლებმა მაღალი ქულებით შეაფასეს საკუთარი თავი. კოლეჯმა, თვითშეფასების ჩატარებამდე, გამართა საინფორმაციო შეხვედრები მასწავლებლებთან, რათა განემარტა თვითშეფასების არსი და თავისებურებანი, თუმცა , თვითონ კოლეჯი ხედავს, რომ ეს საინფორმაციო შეხვედრები არ იყო საკმარისი. თვითშეფასების კუთხით იგეგმება მუშაობის გაგრძელებას ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს იყო პირველი მცდელობა კოლეჯის და რა თქმა უნდა სრულყოფილებისაგან შორს იყვენენ, ცდილობდნენ ეს პროცესი დაეხვეწათ და წელს დაიწყეს მუშაობა იმაზე, რომ ინფორმაცია მიეტანათ თითოეულ მასწავლებლამდე, რომლის შეფასება ჯერ კოლეჯს არ დაუწყია, მაგრამ აპრილიდან გეგმავდა, რომ არამარტო მასწავლებლების თვითშეფასებები გაეკეთებინათ, არამედ კომპლექსურად.
ნინო ელბაქიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლის კითხვით, ჰქონდა თუ არა მასწავლებელს საშუალება ან უფლება ადმინისტრაციების შეფასების. დარეჯან ლოსაბერიძის განცხადებით, მასწავლებლებს აქვთ მასწავლებლის კითხვარი, ცალკე ადმინისტრაციის შეფასების უფლება არ აქვთ, მაგრამ მასწავლებლის კითხვარში მოიაზრება კითხვარი ადმინისტრაციასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი "იბერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "შედუღება", "კულინარიის ხელოვნება“ - მონიტორინგის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ქუთაისში სსიპ - კოლეჯ "იბერიაში"(ს/კ: 212682051) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "შედუღება", "კულინარიის ხელოვნება“ - ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ ქალაქ ბაღდათში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვერიკო ჭიღლაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, 2023 წლის 1 თებერვალს საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ბაღდათი) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ასევე, ე)ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა სსიპ კოლეჯ „იბერიას“ ქ. ბაღდათის ფილიალში, შოთა რუსთაველის ქუჩა N112, სადაც შემოწმდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა და გასაუბრება ჩატარდა ფილიალის თანამშრომელთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების ინდიკატორები მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებაში. ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით. ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, დღის წესრიგში მითითებული სამსახურების წარმომადგენლებთან.

ვერიკო ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - კოლეჯ "იბერიაში" ქ.ქუთაისის და ქ.ბაღდათის ლოკაციებზე ვიზიტი განხორციელდა ერთდროულად, ანალოგიური რეკომენდაციები და შედეგები დაფიქსირდა ქ. ბაღდათის ლოკაციაზეც. რაც შეეხება უშუალოდ დასკვნას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პოზიციები ორმა ჯგუფმა ერთმანეთთან შეაჯერა და შესაბამისად განსხვავებული შედეგები არ დაფიქსირდა. შესაბამისად განსაკუთრებული რაიმე ტიპის რეკომენდაცია არ გაცემულა, ძირითადად ადამიანურ რესურსებზე, სტრუქტურაზე, ფუნქცია-მოვალეობებზე და საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე , რომელიც უკვე შესრულდა. საგანგებო სიტუაციების მართვა არ იყო შეთანხმებული, აღმოჩნდა რომ პროცესში იყო და დასრულდა, რომელიც ასევე შემოწმდა და შეთანხმებულია ეს დოკუმენტები შესაბამის სამსახურთან.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის რეავტორიზაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნაში ინდიკატორი
შეფასებული იქნა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგან სტუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხიმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობდა დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (მაგ. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ჩართულ მხარედ მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებას გაწერილი არ ქონდა). თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის No94 ბრძანებით 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი. პირველი თებერვლის ვიზიტის დროს აღნიშნული გეგმა შესრულებული იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „იბერიას“ პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც თითოეული პოზიციისთვის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ არ ხდება მათი გადაფარვა ან დუბლირება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გაწერილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები პასუხობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს.
კოლეჯ „იბერიის“ ქ. ბაღდათის ფილიალში სასწავლო პროცესების და პრაქტიკის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ის დამატებით ითავსებს შემოსული კორესპონდენციის ორგანიზებას, მატერიალური რესურსების და სასწავლო პროცესის მართვას და საბიბლიოთეკო მომსახურებას. სასწავლო პროცესების და მატერიალური რესურსების მართვის ფუნქცია იკითხება მის ფუნქცია- მოვალეობებში, ხოლო ბიბლიოთეკარის და შემოსული კორსპოდენციის მართვის მოვალეობა დამატებით დაევალა დირექტორის შიდა ბრძანებით.

ექსპერტების მიერ ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და სათანადო დოკუმენტაციების შესწავლით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესების და პრაქტიკის მენეჯერი პროცესში არის მხოლოდ გამტარი და აღნიშნული დამატებითი დავალებების შესრულება არ უშლის ხელს ყველა ფუნქცია- მოვალეობების ეფექტურად შესრულებაში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ რეავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები შესრულებულია, ხოლო ინდიკატორები - დაკმაყოფილებული, კერძოდ, პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ "იბერიაში" ქალაქ ბაღდათში განხორციელებული მონიტორინგის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ბაღდათში სსიპ - კოლეჯ "იბერიაში"(ს/კ: 212682051) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

ქეთევან ციხისელმა, მესამე საკითხის განხილვამდე, საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს ორიენტირის შესახებ ინფორმაცია. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) 2022 წლის 20 მაისის სხდომაზე დღის წესრიგის მეორე საკითხად განხილულ იქნა შპს "ორიენტირის" ავტორიზაციის შესახებ საკითხი. აღნიშნული საბჭოს ოქმში (N597935 - 06.06.22) დაფიქსირებულია, რომ ექსპერტების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად (1.2 კომპონენტის მეტწილ შესაბამისად შეფასებიდან გამომდინარე). დაწესებულებამ, აღნიშნული კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავდა შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაკორექტირებას. შპს "ორიენტირის" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვის დასასრულს, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შპს "ორიენტირისათვის" 6 წლის ვადით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსის მინიჭებასთან დაკავირებით და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 1.2 კომპონენტის გადამოწმების ფარგლებში. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2022 წლის 20 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად - დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოს ინფორმირება. 2022 წლის 21 ნოემბერს შპს "ორიენტირს" ცენტრიდან გაეგზავნა წერილი 1.2 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიშის წარმოდგენასთან დაკავშირებით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული წერილის პასუხად, 2022 წლის 28 ნოემბერს შპს "ორიენტირმა" ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიში შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღნიშნული დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა, დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. გაცნობებთ, რომ შპს "ორიენტირის" მიერ პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით ანგარიში სრულია.

საბჭომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

მესამე საკითხი: შპს ორიენტირისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბეგლარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა დარგის ექსპერტთან ერთად.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შპს ორიენტირში(მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. No26) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 იანვარს. კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. აღნიშნულ

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იყო 30. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი, დამატებით კიდევ 18 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში განმარტებულია, რომ შპს ორიენტირი, მუდმივად ზრუნავს, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. კოლეჯს აქვს სამედიცინო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. 2019 წელს კოლეჯმა ავტორიზაციის გზით დაიმატა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კბილის სატექნიკო საქმე", რომლის სწავლება მიმდინარეობს დღემდე. კოლეჯის განმარტებით, ამ ხნის მანძილზე, მუდმივად იზრდება იმ აპლიკანტთა რაოდენობა, რომლებსაც სურთ დაეუფლონ კბილის სატექნიკო საქმის პროფესიას, კოლეჯში ,,ორიენტირი". წინა წლებში კოლეჯმა სრულად აითვისა კვოტით განსაზღვრული მისაღები რაოდენობა. 2021 წელს, კი კოლეჯი ჩაერთო სახელმწიფო დაფინანსებით პროფესიულ სტუდენტთა მიღების პროგრამაში და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზე vet.emis.ge გააკეთა განაცხადი 15 პროფესიული სტუდენტის მიღებაზე. კოლეჯმა 2022 წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღების პროგრამაში და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზე განაცხადი გააკეთა 15 პროფესიული სტუდენტის მიღებაზე და დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენაობამ შეადგინა 61. აღნიშნულის დასტურად კოლეჯმა წარმოადგინა რეგისტრირებულ მსურველთა რაოდენობის ამონაწერი მონაცემთა ბაზიდან.

ექსპერტის განმარტებით, კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პროგრამაზე, ,,კბილის სატექნიკო საქმე" ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის დასადგენად, დასაქმების ბაზარზე ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლას. კოლეჯის განმარტებით, სამუშაო ჯგუფმა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩაატარა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა კოლეჯის პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებთან. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ სტომატოლოგურ კლინიკებში, გაზრდილია მოთხოვნა კვალიფიციურ კბილის ტექნიკოსებზე. პროფესიონალმა პრაქტიკოსებმა აღნიშნეს, რომ მათ გარეშე შეუძლებელია პაციენტებისთვის მაღალხარისხიანი სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდება. არსებული მდგომარეობის მიმოხილვიდან ჩანს, რომ საქართველოში და კერძოდ, თბილისში, ყოველწლიურად, საგრძნობლად იმატებს სტომატოლოგიური კლინიკების რაოდენობა. რაც იწვევს დარგში, ყველა რგოლის კვალიფიციურ პერსონალზე და მათ შორის კბილის ტექნიკოსებზე მოთხოვნის გაზრდას, რომლებმაც თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სრულფასოვანი, დარგის სტანდარტების შესაბამისი სტომატოლოგიური სერვისის უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც შპს ,,ორიენტირის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ანალიზმა აჩვენა, 2021 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კბილისი სატექნიკო საქმის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 74% დასაქმებულია პროფილის მიხედვით. კოლეჯის კურსდამთავრებულები მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანები არიან შესაბამისი პროფილის შრომის ბაზარზე, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებები: პროგრამის ავტორიზაციის გზით დამატებისთვის მზადების პროცესში, პრაქტიკის ობიექტების მოძიებისას, სხვადასხვა კბილის სატექნიკო ლაბორატორიებში, დასაქმებულებს შორის იყო კოლეჯის ამავე პროგრამის არაერთი კურსდამთავრებული. დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს.

ჩატარდა გასაუბრება სტუდენტებთანაც, რომლებმაც დადებითი შეფასება მისცეს პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური რესურსი და ასევე, განახორციელა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზეც, სადაც დარწმუნდა, რომ თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი მზაობა შესაბამისი მოდულებით მისაღწევი შედეგების დასაფარად.

ექსპერტის განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, მოდულისთვის „კად კამი და სინთერიზაცია“, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მომზადებული სასწავლო რესურსი (რიდერი) მითითებული იყოს მოდულში და განთავსდეს ბიბლიოთეკაში, მათ შორის მატერიალური სახით. ასევე, გაიცა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯის მიერ შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტირებისა და ხარჯების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ ორივე რეკომენდაცია შესრულდა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტდეს მასალა-ნედლეულით მომარაგებას უზრუნველყოფს თავად დაწესებულება, თუ პრაქტიკის ობიექტი და განისაზღვროს აღნიშნული მასალა-ნედლეულის სია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რამდენ ობიექტთან ჰქონდა კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს ჰქონდა 2 ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება, ერთი ობიექტი კოლეჯმა დაიმატა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაზრდებოდა, ხოლო მეორე ობიექტზე პროფესიული სტუდენტები გადიან აქტიურ პრაქტიკას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე 30 პროფესიული სტუდენტით არის განსაზღვრული და კოლეჯი ითხოვს 18 პროფესიული სტუდენტისთვის ადგილის დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით რა ცვლილებების განხორციელდა მატერიალური ან ადამიანური რესურსის მიმართულებით.

ექსპერტმა ნინო ჩომახაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ორი სტომატოლოგიური ლაბორატორია ჰქონდა და დაიმატა კიდევ ერთი. კოლეჯში მოწყობილი იყო ერთი სივრცე, რომელიც 30 სტუდენტისთვის იყო განსაზღვრული და დამატებით დაწესებულებამ მოაწყო ორი C სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე მატერიალური რესურსებით. კოლეჯის ბაზაზე არსებულ C გარემოში, რომელიც სატექნიკო ლაბორატორიის სასწავლო გარემო იყო, ხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტების ძალიან დიდი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ როგორ გეგმავდა დაწესებულება სტუდენტების მიღებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადაიხედა სასწავლო გეგმები და სასწავლო გეგმების შესაბამისად ლაბორატორია უზრუნველყოფს გაზრდილი კვოტის შემთხვევაში გამტარუნარიანობას. მისი თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებას დამატებით ჰქონდა სხვა სასწავლო სივრცეებიც, სასწავლო A და B გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა თეორიული კომპონენტების განხორციელებას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას 30 სტუდენტი უკვე მიღებული ჰყავდა და დამატებით 18 პროფესიული სტუდენტის მიღებას აპირებდნენ. მისი თქმით, კოლეჯი ორი სასწავლო კურსის განხორციელებას აპირებს, ასევე, კოლეჯს გათვალისწინებული ჰქონდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაც და 2 C გარემო სრულად გათვლილი იყო 18 სტუდენტზე,

რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ჰქონდა სამი პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა კომპანიებთან, რომლებმაც გამოაცხადეს მზაობა განსაზღვრული კვოტის ფარგლებში გაეწიათ მომსახურება დაწესებულებისთვის. მისი თქმით, შეირჩა 2 პარტნიორი: შპს საქართველო-ისრაელის სტომატოლოგიური ცენტრი და შპს დენტრალაბი, სადაც განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ შერჩეულმა კომპანიებმა გამოთქვეს მზაობა ასწავლონ სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით დაეზუსტებინა, თუ რა მოდულები იქნებოდა განხორცილებული პრაქტიკის ობიექტზე.

ექსპერტის განმარტებით, თითოეული მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა მოხდებოდა კოლეჯის შესაბამის გარემოში, ხოლო ნაწილის - პრაქტიკის ობიექტზე. ნინო ჩომახაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების მიღება პრაქტიკის ობიექტზე მოხდებოდა დღის განმავლობაში, 2 ცვლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განხილული საკითხი შეაჯამა და აღნიშნა, რომ შპს ორიენტირისთვის „კბილის სანტექნიკო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტების გაზრდის მიზანშეწონილობა ექსპერტების მიერ დადასტურებული იქნა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ სტუდენტთა რაოდენობა გაზარდის მიზნით დაიმატა მატერიალური რესურსი ახალაი თანამედროვე აღჭურვილობის სახით, შეცვალა არსებული ინფრასტრუქტურა, დაამატა ლაბორატორია, ასევე დადო კიდევ ერთი ხელშეკრულება და დაიმატა პრაქტიკის ობიექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას კითხვით, ვინაიდან ზუსტი პასუხი ექსპერტებისგან არ იყო მიღებული, პროფესიული მოდულების რამდენი პროცენტი იყო გატანილი ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული მოდულების გატანა არ აჭარბებდა 50%-ს, ვინაიდან დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური ბაზა, შეძენილი აქვს სამი საუკეთესო აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლეოდა გარკვეულ მოდულები სრულად განხორციელებულიყო კოლეჯის სივრცეში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ორიენტირს (ს/კ: 200011904) დანართით განსაზღვრულ „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 48-ით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

საკითხი მეოთხე: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სკოლამდელი აღზრდა და განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანა შარაბიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა დარგის ექსპერტთან ერთად.

ექპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე); ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის

შეფასება, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯში "ახალი ტალღა" 2023 წლის 20 იანვარს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ.No154. ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგამნამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ახალი ტალღა“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ექსპერტის განცხადებით, მეორე სტანდარტის პირველ კომპონენტთან მიმართებაში, დაწესებულებას აქვს სრული შესაბამისობა რვავე ინდიკატორის მიხედვით, ეს გულისხმობს იმას, რომ სტრატეგიულ გეგმასთან არის შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაოდენობა განსაზღვრულია მეთოდოლოგიის მიხედვით, პროგრამაში მითითებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, ყველაფერი ადაპტირებულია და შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნების, ექპერტის განმარტებით, პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. რაც შეეხება სტანდარტის მე- 2 კომპონენტს, საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს 2 სივრცე , ეს არის A და B გარემო - 2 A გარემო აქვს 15-15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი 1 B გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული მოდულები დაწესებულების ფარგლებში ხორციელდება, პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაწესებულება ადრე ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბაგა-ბაღის აღმზრდელ - პედაგოგი“ და ახლა უკვე იმატებენ პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს სრულად არის შესაბამისობა. 22 პროფესიული მასწავლებელია, მათ შორის, 5 არის პროფესიულ-დარგობრივ მოდულების. დარგობრივი კომპონენტის მქონე ხელმძღვანელთან დაკავშირებით სრული შესაბამისობაა. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსებს - აქაც სრული შესაბამისობაა.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ითხოვს 45 ადგილს, შესაბამისად პირველ ნაკადზე ისინი მიიღებენ 30 პროფესიულ სტუდენტს ამ ორ A გარემოში და ერთ B გარემოში, ხოლო შემდგომში მომდევნო ნაკადზე მიიღებენ მხოლოდ 15 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტის თქმით, ორ ცვლაში მიმდინარეობს სწავლება, შესაბამისად დაწესებულებას სრულად აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ უზრუნველყოს 45 სტუდენტის სწავლება ერთდროულად სასწავლო სივრცეში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კოლეჯში პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეცილისტებთან ერთად. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ

ღებულობს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლსაც ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფში შედიან დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, სასაწავლო პროცესის მენეჯერი ან/და სასწავლო-საწარმოო პრატიკის მენეჯერი. სასაწავლო პროცესის მენეჯერი ან/და სასწავლო-საწარმოო პრატიკის მენეჯერი, რომელიც უშუალოდ სამუშაო ჯგუფთან ერთად მუშაობს სასწავლო გეგმის შედგენაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც ვგებულობთ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ, განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი სხვადასხვა კვლევებისა და ანგარიშების მოკვლევაზე დაყრდნობით. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვადსხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზითა და მოკვლევით. დაწესებულებისათვის აღნიშნული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობად, ასევე, განისაზღვრა ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #1623409 წერილი, რომლის თანახმადაც ბაღების გაერთიანების დირექტორი კოლეჯის ადმინისტრაციას მიმართავს თხოვნით ბაღის აღმზრდელის კვალიფიკაციის მქონე პირების მომზადების შესახებ და გამოთქვამს აღნიშნული კვალკიფიციური კადრის საჭიროებას.
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლეჯი 2017 წლიდან ახორციელებდა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, რის გამოც დაწესებულებას მიაჩნია რომ აქვს მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება და ამასთან კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯში ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულფასოვან ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, რამდენად ეფექტური იყო ასეთი ტიპის პროგრამის განხორციელება მხოლოდ იმიტირებულ გარემოში და ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი, რომ სწავლის შედეგები დაწესებულებამ გადაიტანოს რეალურ პირობებში.

ექსპერტის განმარტებით, ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით, პროგრამას არ გააჩნდა ვალდებულება სწავლის შედეგები გაეტანა რეალურ გარემოში, თუმცა, მისი თქმით კარგი იქნებოდა, რომ პროფესიული სტუდენტების სწავლება რეალურ გარემოშიც განხორციელებულიყო.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო სტანდარტში არ იყო მითითებული პრაქტიკის განმახორციელებელი ადგილის საჭიროება. ამავე დროს, ქობულეთის ბაღების გაერთიანება საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე, მზად იყო პრაქტიკული კომპონენტი გაეტანა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ თვლიდა, რომ ეს ჩარჩო დოკუმენტის ხარვეზი იყო.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქმე ცოცხალ ორგანიზმებს ეხებოდა, რაშიც მოიაზრება ბაღის ბავშვები და აუცილებელი იყო ამ მოდულის პრაქტიკაში განვითარება, ვინაიდან მხოლოდ თეორიულ ცოდნას ვერ დაეყრდნობოდა პროფესიული სტუდენტის მომზადება.

ნინო ელბაქიძე დაინტერესდა პროგრამის ხანგრძლივობით და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რამდენი ხანი ფუნქციონირებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძველი პროგრამა მიმდინარეობდა მილევად რეჟიმში, ოთხი წლის განმავლობაში, მისი თქმით, ჯგუფში იყო 15 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ საერთო ჯამში გამოაცხადა ოთხი მიღება და ამ პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით 60 ადამიანი მომზადდა.

ნინო ელბაქიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როგორ ხედავდა კოლეჯი იმ ფაქტს, რომ პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ თეორიული განათლება მიღებული, შეძლებდნენ შემდგომში მის პრაქტიკაში გამოყენებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი იყო ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნები და ასევე, მისი დიდი სურვილი იყო პრაქტიკული კომპონენტი გაეტანა კოლეჯს და შექმნილიყო C გარემო. მისი თქმით, კოლეჯს მოლაპარაკება ჰქონდა ქ.ქობულეთის ბაღების გაერთიანებასთან, რომელიც მზად იყო კურსდამთავრებულები სტაჟირებით მიეღო და შემდგომ დაესაქმებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და მიმართავს ექსპერტებს კითხვით, პროგრამის შემუშავების პროცესში ხომ არ დაუფიქსირებიათ ჩარჩო დოკუმენტთან მიმართებით შენიშვნები. მნიშვნელოვანია, ასევე, გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ არ არის C გარემო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიული უნარების სააგენტოსთან აქვს აქტიური თანამშრომლობა და არა მხოლოდ აღნიშნული პროგრამის, არამედ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში იყო მათთან კომუნიკაცია.

საკითხის კენჭისყრამდე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ნინო ელბაქიძე: „არ ვარ თანახმა კოლეჯმა განახორციელოს ზემოაღნიშნული პროგრამა. არასაკმარისი კადრია მომზადებული, როდესაც ადამიანმა უნდა იმუშაოს ბავშვებთან , აუცილებლად სჭირდება მას არა ის გამოცდილება , რომელიც მან მოიპოვა სამუშაო დროის მანძილზე, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული და სწორად მართული. პრაქტიკული სწავლების გარეშე შეუძლებელია, რომ იყოს კვალიფიცირებული, თუკი პროგრამის ჩარჩოში დოკუმენტშია ხარვეზი, ეს იმას ნიშნავს , რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ გამოსასწორებლად“.

ვალერი გულბანი: „არ ვარ თანახმა კოლეჯმა განახორციელოს ზემოაღნიშნული პროგრამა. ვიზიარებ ნინო ელბაქიძის მოსაზრებას.

ნატალია კვაჭანტირაძე: „იქიდან გამომდინარე, რომ შემდეგ პრაქტიკულ კომპონენტს სტაჟირების სახით გაივლიან სტუდენტები, თანახმა ვარ აღნიშნული პროგრამა განახორციელოს კოლეჯმა“.

ტიტე ბოლქვაძე: ჩვენ ალბათ უსამართლოები ვიქნებოდით ამ შემთხვევაში მხოლოდ სსიპ-კოლეჯი ახალი ტალღა გამოგვეყო და მათთვის არ მიგვეცა პროგრამის დამატების უფლება, თუ სხვები ახორციელებენ, მაშინ მათ მიმართ ჩვენ არ ვიქნებოდით სამართლიანები, რადგან ჩარჩო დოკუმენტს შეესაბამება. თანახმა ვარ აღნიშნული პროგრამა განახორციელოს კოლეჯმა, თუმცა ქალბატონი ნინო ელბაქიძის არგუმენტები არის ნამდვილად გასათვალისწინებელი“.

შორენა ჯაფარიძე: „საბჭოს ამოცანა არის ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით მოხდეს შეფასება პროგრამის, ჩვენ უნდა დავადასტუროთ, შესაბამისობაში არის თუ არა წარმოდგენილი პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში არის შესაბამისობაში, ამიტომ სამართლებრივად, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ ვუთხრათ არა დაწესებულებას. ამავდროულად, რა საკვირველია ვიზიარებ ქალბატონი ნინოს და დანარჩენი კოლეგების მოსაზრებებს. მივმართავ დაწესებულების დირექტორს თხოვნით, ეს იქნება ჩვენი რეკომენდაციაც, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი იყოს, პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულთა სტაჟირება რეალურ პირობებში, როგორც ხელშეკრულებით აქვთ გათვალისწინებული, იმისთვის რომ ეს სპეციალისტებმა შეძლონ მუშაობა ხარისხიანად. თანახმა ვარ აღნიშნული პროგრამა განახორციელოს კოლეჯმა“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „ახალ ტალღისთვის“„სკოლამდელი აღზრდა და განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 2

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას“(ს/კ:246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდა და განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ,,სარესტორნო მომსახურების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ღონისძიების ორგანიზების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამთა კვინიკაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა დარგის ექსპერტთან ერთად.
მისი განცხადებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 19.12.22 წლის №№1622467- 1622468 ბრძანებებით, ექსპერტთა ჯგუფებს დაევალა ,,სარესტორნო მომსახურეობა'' და „ღონისძიების ორგანიზება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 26 იანვარს (ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21). დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ, ასევე დარგის ექსპერტების მიერ. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,სარესტორნო მომსახურება''
რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 2.2.1.6 - დაწესებლებაში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, სადაც მოიაზრება სტუდენტების საჭიროებების

გათვალისწინება. კოლეჯში ამ დრომდე არ დამდგარა სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება , თუმცა სასურველია დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.)
ინდიკატორი 2.4.2.2 - სასურველია, დაწესებულებამ ვერივიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.

თამთა კვინიკაძის განცხადებით, პროგრამის განხორციელების მიდგომა არის მოდულური, კვოტა - 30 პროფესიული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები. პროგრამა იყო მეტწილ შესაბამისობაში, როცა პროგრამა წარმოადგინეს, სრულად მატერიალური რესურსით არ იყო დაწესებულება აღჭურვილი, თუმცა ვიზიტის დროს ადგილზე დახვდათ ექსპერტებს მატერიალური რესურსი, გაეცნენ შესყიდვის დოკუმენტებს და პროგრამა შეფასდა როგორც, სრულად შესაბამისი. აქვე ცალკე C გარემოც, რომელიც სრულად არის აღჭურვილი იმ რესურსებით, რომელიც საჭიროა. ასევე, აქვთ სპეციალურად A და B გარემოც ამ პროგრამებისთვის. ეს პროგრამა სრულ შესაბამისია სტანდარტების მოთხოვნებთან.
დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ოთხი ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან და ისინი კიდევ უფრო მეტად აღჭურვილები არიან იმ მატერიალური რესურსით, რომელიც განკუთვნიალია სწავლის შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო რესურსი მისაწვდომია ძირითადად ელექტრონულად.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციებთან რომელიმე სწავლის შედეგი გატანილი და ხომ არ ხორციელდებოდა ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

დარგის ექსპერტის განმატებით, გაფორმებულია მემორანდუმები ოთხ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელებიც ადგილზე მოინახულეს და დადასტურდა მათი თანამშრომლობის მზაობა დაწესებულებასთან. მატერიალური რესურსი, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან, სრულიად შესაბამისობაშია სწავლის შედეგების მისაღწევად.. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "ღონისძიების ორგანიზება"
რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები:
2.2.1.1.- დაწესებულებას საკუთრებაში არ აქვს მოდულის ,,ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. ამ მოდულის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმი მოძრავ დაბადების დღის ცენტრთან, რომელიც არ მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას (მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, განხორცილების ადგილს), შესაბამისად, პროგრამის განხორციელება სრულად არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსით. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს მოდულისათვის ,,ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ შესაბამისი მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა.

2.4.1.- სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. რადგან დაწესებულებას არ აქვს მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი,

შესაბამისად, ვერ დადასტურდება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების მიღწევისას (2.4.1.3) და პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან სათანადო მემორანდუმით. (2.4.1.5) დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახერხოს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა და ასევე თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დადასტურდეს სათანადო მემორანდუმით.

განმავითარებელი რეკომენდაციები

ინდიკატორი 2.1.1.1 - რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალურ საკითხებთან ერთად გამოკვეთოს ეკონომიკური ასპექტები, პროგრამის განხორციელების რესურსული და ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.

ინდიკატორი 2.2.1-6 - დაწესებულებაში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, რომელშიც მოიაზრება სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება. კოლეჯში ამ დრომდე არ დამდგარა სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.)

ინდიკატორი 2.4.2.2 - სასურველია, დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.

თამთა კვინიკაძის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ წარდგენილი იყო მოდულური ფორმით, დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე ითხოვდა 40 პროფესიულ სტუდენტს. დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა , თუმცა დასკვნის პროექტში იყო ხარვეზები. შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შესაბამისად გაფორმებული მემორანდუმები.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს კითხვით დარგის ექსპერტს, ჰქონდა თუ არა პრაქტიკის ობიექტს საშუალება, რომ სრული მოცულობით განეხორციელებინა მოდული.

ქეთევან ჯანელიძის განცხადებით, როდესაც მოდულის მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია და ამ მოდულის განხორციელებას გეგმავს პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ასეთ შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ უნდა იყოს იმ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც მოდულით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის არის საჭირო. ხელშეკრულებას დანართის სახით უნდა ახლდეს კონკრეტული მოდული და მატერიალური რესურსის ნუსხა, რომლის გამოყენების მზაობას ხელშეკრულებაში პარტნიორი მხარე უნდა ადასტურებდეს. ასევე, გარკვევით უნდა იყოს მითითებული, რომ პარტნიორი ორგანიზაცია თანახმაა მოდული მის სივრცეში განახორციელოს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა (ვინაიდან დაწესებულებას აღნიშნული მოდულისათვის ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი). ასევე, ჩანდეს მომსახურების საფასური ან მიეთითოს სხვა გარემოება. მოგეხსენებათ, მოდულის განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო სივრცე. წარმოდგენილი ინდ.მეწარმე არის მოძრავი

დაბადების დღის ცენტრი. ამ ნაწილშიც საჭიროა ხელშეკრულებაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად, სად ან რა მიდგომით განხოციელდება აღნიშნული მოდული. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეების იურიდიული დასახელება სწორად. აღნიშნულ მემორანდუმში მითითებულია დაწესებულების ორი სხვადასხვა სახელი (სავარაუდოდ ორივე არასწორი) "ლუკელენდი" და „ლუკეუნდი". შესაბამისად, პროგრამის განხორციელება სრულად არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსით. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01.2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება. ასევე წარმოადგინა უკვე გაფორმებული მემორანდუმები, თუმცა ექსპერტებს აღნიშნული მემორანდუმები არ შეუსწავლიათ და არც გასაუბრება არ მომხდარა შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს მოდულისათვის ,,ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება" შესაბამისი მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ღონისძიების ორგანიზება" აღნიშნა, რომ „ღონისძიების ორგანიზების" პრაქტიკის ობიექტი სწორედ ვერ შეარჩიეს, ორგანიზაციას ადგილზე შეეძლო დაწესებულების სივრცეში საჭირო აპარატების მოტანა და ადგილზე განხორციელება, მოდულის ტექნიკური უზრუნველყოფა. ვიზიტის დროს იყო საუბარი იმაზე, რომ ყველა მიმართულებას შესაბამისი პრაქტიკული პროექტის ფარგლებში ჩვენ გვინდოდა მემორანდუმების გაფორმება ორგანიზაციებთან, რომელიც ვიზიტისას არ იყო გაფორმებული .

საკითხის კენჭისყრამდე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ნინო ელბაქიძემ გააკეთა კომენტარი, რომ როდესაც ასეთი საკითხებია და იქნება სამომავლოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, ყველა შემთხვევაში დასაბუთებას პროგრამის არსებობისა, რაც პირდაპირ კავშირშია შრომის ბაზრის მოკვლევასთან ამ შემთხვევაში. მეტსაც გეტყვით, რიგ შემთხვევაში მხოლოდ შრომის ბაზრის მოკვლევა არ იქნება საკმარისი, როდესაც ერთ ქალაქში ან ერთ რეგიონში ერთიდაიგივე პროგრამას რამოდენიმე ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება ასრულებს. შესაბამისად, აუცილებელია იმის მოკვლევა, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პირველი დამსაქმებელი რას ამბობს, რამდენი დამსაქმებელია, ვისაც ეს კადრი ესაჭიროება სასწავლებლის გარშემო ტერიტორიულად ახლომახლო. ეს შეიძლება იყოს გვერდითა ქალაქი და ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ერთიდაიგივე ქალაქი, არსებობს თუ არა მსგავსი პროგრამა ან მოქმედი იდენტური პროგრამა, რამდენი კურსდამთავრებული ჰყავს და რამდენი უნდა, რომ კონკრეტულ დაწესებულებამ მოამზადოს. ეს რასთან არის კავშირში ახლა, მოგეხსენებათ, რომ ამ ყველა პროგრამის განხორციელებაში სახელმწიფო იხდის ფულს და სახელმწიფო მდიდარი არ გვყავს. სახელმწიფო აფინანსებს პროგრამებს და ხდება ერთ კონკრეტულ ადგილზე შრომის ბაზრის კადრებით გადავსება, რომელთაც უბრალოდ სამსახური არ აქვთ, მაგრამ ამაში დახარჯა სახელმწიფომ ფული. ეს არის გამტარი ადგილი, სადაც პროგრამა, რომელზეც ამდენი შრომაა დახარჯული, ჩაეშვას, იმოქმედოს და კურდამთავრებულმა, რომელიც დაამთავრებს ამ პროგრამას, იმუშაოს და გადაიხადოს გადასახადები, მის მიერ გადახდილი გადასახადებით

მოხდეს ახალი სტუდენტის მომზადება. ჩვენ თუ ბევრი ფული ჩავდეთ ამაში და შემდეგ კადრი ვერ დასაქმდა, მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯი არის არამიზნობრივი, აღნიშნა ნინო ელბაქიძემ.

ნინო ველთაური: „მინდა გამოვეხმაურო ამ საკითხს, რაზეც ქალბატონმა ნინომ ისაუბრა, იმიტომ რომ ეს არის სერიოზული პრობლემა და ამ გამოწვევის გადაწყვეტა მოითხოვს ბევრად უფრო კომპლექსურ მუშაობას, ვიდრე საბჭოს სხდომაზე განხილვებია. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად მუშაობდა, რომ გამოვლინდეს 5 წლიანი პროგნოზით ქვეყანაში მოთხოვნადი პროფესიები და უნარები, დეფიციტური პროფესიები და უნარები. ამაში თავისი კუთხით ჩართულია ეკონომიკის სამინისტროც. ჩვენ სამივე უწყებას ისეთი მეთოდოლოგიები უნდა გვქონდეს შემუშავებული, რომ ერთმანეთის შემავსებელი ფუნქცია ავიღოთ და არ გადავფაროთ ერთმანეთი 5 წლიანი პროგნოზით. მიზანი ამისი არის ის, რომ ამის მიხედვით გადაწყვეტს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელი მოკლევადიანი პროგრამა დააფინანსოს და არ დააფინანსოს“.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ , შენიშვნები არ იყო, განმავითარებელი რეკომენდაციები იქნა გაცემული და აღნიშნულ პროგრამაზე მონიტორინგის ჩანიშვნა არ არის საჭირო, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ შემთხვევაში უნდა ჩაინიშნოს მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ,,სარესტორნო მომსახურების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,სარესტორნო მომსახურეობის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).** გადა წყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ღონისძიებების ორგანიზების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს(ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ღონისძიების ორგანიზების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვ ეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ღონისძიების ორგანიზება" 2.2 კომპონენტის ფარგლებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 22 მაისი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:15 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. No26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის No154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91